ცნობის ფურცელი

№ 2270 კვირა 21 სექტემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2270

ხელისმოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-153 №-რი

წარმოდგენა № 1 ქართული თეატრი ტელეფონი №617
კვირას 21 სექტემბერს, 1903 წელს სეზონის დასაწყებად
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
სამშობლო
ისტორ. დრამა 5 მოქ. და 7 სურ. დ. ერისთავისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჩხეიძე, ბ. ნებიერიძისა. ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
(3—უ.—3) რეჟისორი აკაკი.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.
ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
კვირას, 21 სექტემბერს, 1903 წელს, წარმოდგენილი იქნება
რომეო და ჯულიეტა
ოპერა 5 მოქმედებად და 6 სურ., მუსიკა გუნოსი.
მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: არციბაშევა, რადიონოვა და ლელინა; ბ-ნნი: სელიავინი, ფიგნერი, გლადკოვი, შმაკოვი, სანგურსკი, გრინევი, გავრილოვი, პერელი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.
ანონსი: ხვალ, 22 სექტემბერს, წარმოდგენილი იქნება „პიკოვაია დამა“, ოპ. 3 მოქმ. და 7 სურ. მუს. პ. ი. ჩაიკოვსკისა. სამშაბათს, 23 სექტემბერს, „დემონი“, რუბინშტეინისა. ბილეთები იყიდება. (ნ.)

მასაჟის და საექიმო გიმნასტიკის
კურსები
გედევანიშვილის სამკურნალოში
15 ოქტომბრიდან
მასაჟი — ვ. ხოზოლევსკი.
ფიზიოლოგია — ქ. ფედოროვი.
ანატომია. — ა. მაღალაშვილი.
(8—ნ.—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ კავკავის სკოლაში განთავისუფლებულია მასწავლებლის
ადგილი.
ჯამაგირი წელიწადში 420 მან. მსურველთ უნდა მიჰმართონ ტფილისში საზოგადოების გამგეობას თხოვნით და საჭირო საბუთებით. (3—უ—2)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-მდე საღამ-საღამობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამობით 5—7-მდე. (წლ.)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:
ვ. ჯიჯინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.
ლ. ივ. კამოვი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10—11.
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილისა, 10 ს.—11 ს.
ა. ვ. მაღალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.
ლ. მ. მონინი—ქალისა, საბებიო და ბავშვ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშ., პარასკ. და კვირ. 11—12.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1.
მრ. ვ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშ., ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათ.
ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.
საღამოთი:
ა. ვ. მაღალაშვილი. შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6. საათ.
სამკურნალოს აქვს [illegible] საწოლი-კრავატი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, [illegible] ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ლიბერალურ პარტიის წინამძღოლს კემპბელ-ბანერმანს იქით კვირია პარასკევს ბლერგაურში ჩემბერლენის სატამოჟნო პროექტსა და სამსახურიდან გადადგომაზე ულაპარაკნია. კემპბელ-ბანერმანს უთქვამს:

სატამოჟნო რეფორმის უმთავრესი ინიციატორი მიხვდა, რომ საზოგადოება იმის აზრს არ დაეთანხმა, და სამინისტროდან გავიდა. სამინისტროს მეთაური როგორ-და იქცევა? გადამდგარ მინისტრს თანაგრძნობას უცხადებს და იმედს გამოსთქვამს, ჩემბერლენის განზრახვა უსათუოდ ასრულდებაო, თითონ კი ისევ სამინისტროს მეთაურად დარჩა და ცდილობს, რომ საზოგადოება ცოტ-ცოტათ პროტექციონიზმს მიღებას შეაჩვიოს, ისე როგორც ავადმყოფს წამლის მიღებას ნელ-ნელა შეაჩვევენ ხოლმე და მერე ერთბაშად გადააყლაპებენ. პირველ-მინისტრს იმედი აქვს, რომ საზოგადოებას ამისთანა.—გავბედავ და ვიტყვი,—უსინიდისო ოინით თვალები აეხვიოს. ეტყობა, ძლიერ დაბალის აზრისა ყოფილა თავის თანამემამულეების გამჭრიახობაზე. მთავრობის მეთაური ბაჟების დაწესებას თანაგრძნობას უცხადებს, ჰხედავს, რომ ხალხი ბაჟების დაწესების წინააღმდეგია, ამ საბუთით თავის ამხანაგის სამსახურიდან გადადგომას სთანხმდება და თითონ კი სამსახურში რჩება, იმ აზრით, რომ ბაჟების დაწესებას გზა გაუკაფოს. განა ამისთანა მთავრობის მეთაური პატივისცემის ღირსი-ღაა?

ბოლოს ორატორმა სთქვა: თავის სასკოლო კანონით,—ცუდის სამხედრო წესებითა და ბაჟების დაწესების განზრახვით ეხლანდელმა მთავრობამ საკმაოდ გაიტეხა სახელიო. ლიბერალურმა პარტიამ მთელი თავისი ღონე და ძალა უნდა მოიკრიბოს და სახელგატეხილ მთავრობის დამხობას ეცადოსო.

◆ ლორდ სოლსბერის გარდაცვალების შემდეგ, იმისა უფროსმა შვილმა ლორდ კრანბორნმა ლორდ სოლსბერის ხარისხი მიიღო. ამიტომ ლორდ კრანბორნმა პალა-

ფელეტონი

პატარა ამბები

(საკვირაო ფელეტონი)

სეზონის დაწყება.—„სამშობლო“.—როგორი პიესა მოიპოვებს ჩვენში ნიადაგს?

დღეს იწყება ქართული თეატრის სეზონი. დღეს გაგვიღებს თეატრის კარებს დრამატიული საზოგადოების გამგეობა ახალ შთაბეჭდილებათათვის, ახალ აზრებისათვის, ახალ გრძნობებისათვის. თეატრი სიცოცხლეა, მუდამ ახალი სიცოცხლე და როგორც სიცოცხლე ჰკარგავს ყოველს ნიშან-წყალს სიცოცხლისას, ისპობა და მის ალაგს იჭერს სიკვდილი, თუ იგი (სიცოცხლე) ყოველს წამს არ არის ახალი, სულ სხვა, ვიდრე იყო წუთის წინად, აგრეთვე ილუპება, ჰქრება, აღარ არსებობს თეატრიც, თუ მუდამ ახალი არ არის, მუდამ წინ არ მიდის, მუდამ არ მოძრაობს, არ მოუწოდებს საზოგადოებას წინსვლისათვის, მუშაობისათვის, ბრძოლისათვის!..

ამიტომ მივდივართ თეატრში, ამიტომ მივესალმებით მის გახსნას. მართალია, ზაფხულშიაც იმართებოდა ხანდახან ქართული წარმოდგენები ტფილისშიაც და პროვინციებშიაც. მაგრამ მათ თითქოს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდათ. ისინი საზრდოობენ—დრამატიულის საზოგადოების თეატრით. უკანასკნელია ქართული დრამატიულის ხელოვნების დედა, მისი უმთავრესი ბოძი, ცენტრი; აქ იკრიბება უმთავრესი დრამატიული ძალები, აქ ინახება ჩვენის თეატრის ტრადიციები, აქ არის დასაწყისი ქართულის სცენის ისტორიისა, აქ ვითარდება იგი უმთავრესად. ეს თეატრი არის ქართული თეატრი არსებითად, უპირველესად. ამიტომ გვიხარია ყველას ამ თეატრის მოქმედების განახლება, ჩვენი ახალი წელი თითქოს მისის განახლებულის ცხოვრებით იწყება.

ყველგან უყვართ თეატრი. ყველას ძლიერ ეროვნულ დაწესებულებად მიაჩნია თეატრი, მაგრამ განსაკუთრებით საყვარელი და ძვირფასი იყო და არის სამშობლო სცენა ჩვენთვის. მოუწყობელ ცხოვრებისა და შემავიწროებელ პირობებისა გამო თეატრი შეიქნა უძლიერესი ძალა ჩვენის საზოგადოებრივის თვითცნობიერებისა და მწერლობის განვითარებისათვის. მწარე იყო ქართული თეატრის დასაწყისი, ეკლიანი იყო მისი გზა, ძნელი და მრავალი დაბრკოლება ელობებოდა წინ, მაგრამ ყველაფერი დასძლიეს თავგამოდებულმა მხნე მუშაკებმა.

ჩვენში ჰგონიათ, ქართული თეატრი თ. ვორონცოვმა შექმნა. ტყუილი აზრია: მართალია, ვორონცოვმა ხელი შეუწყო ქართულ თეატრს, მაგრამ ეს ხელის შეწყობა ძლიერ ხანმოკლე იყო და შემთხვევითი. ვარანცოვამდის არსებობდა ქართული პიესები; მანამდის ფიქრობდნენ გ. ერისთავი და სხვები ქართულ წარმოდგენების შესახებ. ვორონცოვმა წაახალისა და დაეხმარა ქართულის სცენის მუშაკებს, მაგრამ ეგ დახმარება პირველი წლის შემდეგ თანდათან შესუსტდა. ყველაზედ უწინარეს ჯერ თავიდანვე ქართულ წარმოდგენებს ცალკე დღეები არ ჰქონდა დათმობილი, ქართულ პიესებს ადგენდნენ რუსულ წარმოდგენების ან თავში ან ბოლოში. რა-კი ასე აგდებული იყო ქართული წარმოდგენა, მაშინდელი მაღალი ქართველი საზოგადოებაც გულგრილად ეპყრობოდა მას. მერე რა-კი წინანდელივით დაახლოვებით არ აინტერესებდა ვორონცოვს ქართული თეატრის საქმეები, რუსული წარმოდგენების დირექცია მთავრობისაგან დანიშნულს ფულებსაც არ აძლევდა სავსებით ქართულ დასს. და ვორონცოვის კავკასიიდან გადაყვანის შემდეგ ჯერ სრულიად მოუსპეს სუფსიდია ქართულს თეატრს და მერე ბინაც არ მისცეს წარმოდგენებისათვის. ქართველმა აქტიორებმა მაინც არ გაიტეხეს გული, ივ. კერესელიძემ დიდის წვალებით ისესხა ფული, იქირავა უბრალო სახლი და მოაწყო წარმოდგენებისათვის, ხოლო შემოსავალი ძლიერ მცირე იყო, შემოსავალი აქტიორებსაც ვერ ჰყოფნიდა სახარჯოდ, ძველი ვალი ვალად რჩებოდა და ზედ ახალი ემატებოდა. ექვს თვეს გასძლო ასეთის გაჭირვებით ქართულმა თეატრმა. მევალეებმა ვალში გაუყიდეს ი. კერესელიძეს მთელი სასცენო ქონება და ქართულ თეატრის არსებობასაც ბოლო მოეღო. საბრალო ი. კერესელიძის ჯამაგირი ამის შემდეგ მთელი სამის წლის განმავლობაში სულ მევალეებს მიჰქონდათ.—ქართულს წარმოდგენებს სცენის მოყვარენი და გიმნაზიელები თუ მართავდნენ შინაურულად ნაცნობების გასართობად. 1856—1861 წ. ასეთი წარმოდგენაც აღარსად იყო. 1861 წლიდან შემთხვევით იმართებოდა აქა-იქ ქართული წარმოდგენები და მხოლოდ 1877—78 წლებში ქართული თეატრი თითქო მეორედ დაიბადა და სამუდამოდ მტკიცე ნიადაგზე დამყარდა. შემდეგ წრე ჩვენი საუკეთესო მოღვაწეებისა, რომელნიც არტისტებსა და სცენის-მოყვარეებთან ერთად მხნედ შეუდგნენ ქართულ წარმოდგენების მართვას, შეიმუშავეს რეპერტუარი, არტისტები წახალისდნენ, საზოგადოებაც დაინტერესდა ქართულის თეატრით და საქმე გაჩაღდა. 1880 წელს დაარსდა „ქართული დრამატიული საზოგადოებაც“ და ამან კიდევ უფრო ღრმა საფუძველი და მუდმივი ხასიათი მისცა ქართულს თეატრს...

ყველა ეს ფაქტი იმიტომ მოვიგონე აქ, რომ მივაქციო მკითხველის ყურადღება იმ გარემოებაზე, თუ როგორს ბეწვზე ეკიდა რამდენჯერმე ქართული თეატრის ბედი: იგი დაიბადა იოლად, უტანჯველად, მაგრამ დაბადების შემდეგ მალე ისეთს გაჭირვებულს, უკიდურესს მდგომარეობაში ჩავარდა, რომელშიაც არ ყოფილა დაბადებამდის. მიუხედავად მრავალის განსაცდელისა და ხიფათისა, იგი მაინც ახლდებოდა, ხელ-ახლა იწყებდა ცხოვრებას. იგი თითქოს უკვდავი იყო, რომელსაც ახრჩობდნენ, სულს უხუთავდნენ ცუდი პირები და როგორც-კი შეირჩენდა უკეთესს დროს, მაშინათვე წამოჰყოფდა თავს ზევით. და თუ ასე ცხოველი იყო ქართული თეატრი, ეს იმიტომ, რომ იგი შეიცავდა ჩვენის განვითარების უძლიერესს ძალას, ყოველი ჩვენი ფეხის წინ გადადგმა მჭიდროდ დაკავშირებული იყო თეატრის განვითარებასთან. ვისაც-კი აინტერესებდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, ვისაც-კი უნდოდა მისი ამოძრავება, გამოფხიზლება, გათვით-

ტის დეპუტატის თანამდებობაზე ხელი აიღო და ლორდთა პალატის წევრად გახდა. როჩესტერის საარჩევნო ოლქში, სადაც კრანბორნი იყო არჩეული, 10 სექტემბერს არჩევანი მოახდინეს და კრანბორნის მაგიერ სხვა დეპუტატი აარჩიეს. ორივ პარტია, ლიბერალებიც და კონსერვატორებიც დიდი ხანია ემზადებიან ამ არჩევნისათვის. ლიბერალებს იმედი ჰქონდათ, რომ ამ არჩევანშიაც ისე გაიმარჯვებდნენ, როგორც ამას წინად სამს არჩევანში გაიმარჯვეს ზედი-ზედ. მაგრამ ლიბერალებს იმედი გაუცრუვდათ. არჩევანში კონსერვატორმა ტეფმა გაიმარჯვა: ტეფმა 2504 ხმა მიიღო, იმისმა მოწინააღმდეგე ლიბერალმა ჯონსტონმა კი 1,983 ხმა, ასე რომ კონსერვატორმა 521 მეტი ხმა მიიღო. წარსულ არჩევანში კონსერვატორებს 479 ხმით ეჯობნათ ლიბერალებისათვის.

ლიბერალებს მით უფრო გაუკვირდათ კონსერვატორის გამარჯვება, რომ ლიბერალების კანდიდატი, შუაგულ აფრიკის (ინგლისის სამფლობელოს) გუბერნატორად ნამყოფი ჯონსტონი სახელგანთქმული კაცია და ხალხსაც ძლიერ უყვარს. კონსერვატორებმა მომეტებულ ნაწილად ლუდის ქარხნის პატრონებისა და მდიდარ მიკიტნების შემწეობით გაიმარჯვეს. გაუგია თუ არა უნიონისტის გამარჯვება, ჩემბერლენს მაშინვე უნიონისტების საზოგადოების თავმჯდომარესათვის როჩესტერში ამნაირი დეპეშა გაუგზავნია: „დიდ გამარჯვებას გილოცავთ. როჩესტერის ამომრჩევლებმა მთავრობა გაამხნევეს და თავისუფალ ვაჭრობის დამცველთ ჭკუა ასწავლეთ". ლიბერალური გაზეთები შენიშვნენ ამის თაობაზე: ახლად არჩეული უნიონისტი დეპუტატი ტეფი წინააღმდეგია, რომ პურსა და სანოვაგეს ბაჟი დაედოს; ამას გარდა, როჩესტერის ოლქი წინადაც კონსერვატორებს ეკუთვნოდათ. ასე რომ როჩესტერში უნიონისტის არჩევა „დიდ გამარჯვებას" არც მთავრობისათვის მოასწავებს, არც პროტექციონიზმისათვისაო.

◆ ჩემბერლენს ჯერ გარკვეული, განსაზღვრული სატამოჟნო პროექტი არ შეუდგენია. ბევრნი იმ აზრისანი არიან, რომ იქნება ჩემბერლენმა, რაკი ხალხი ასე უარობს ბაჟების დაწესებას, სულაც ხელი აიღოს თავის განზრახვაზეო. ამის თაობაზე გაზ. „მორნინგ ლიდერ"-ში ჩემბერლენის დიდის ხნის და კარგ ნაცნობს წერილიც დაუწერია. წერილის ავტორი ამბობს:

„სულაც არ გამიკვირდება, ჩემბერლენმა რომ გლასგოში, სადაც დიდს პოლიტიკურს სიტყვას წარმოსთქვამს, უცებ გამოაცხადოს: თუმცა კოლონიებისთვის შეღავათიან ბაჟების დაწესება მეტად დიდი საქმეა, მაგრამ ეხლა ამაზე დიდი საქმე სხვა გვაქვს, ეხლა უმთავრესი ყურადღება ჯარის გაუმჯობესებასა და გაძლიერებას უნდა მივაქციოთო. ეხლანდელ სამინისტროს სხვა-და-სხვა მიზეზით საჭირო სამხედრო რეფორმის მოხდენა არ შეუძლიან; არც თუ ლიბერალებს აქვთ ამ საქმის თავი. ასე რომ ერთი გზა-ღა დაგვრჩენია: ეროვნული სამინისტრო უნდა შევადგინოთ ჩემის (ჩემბერლენის) მეთაურობითაო".

ავსტრო-უნგრეთი. უნგრეთის პრესა ერთხმად ჰგმობს დეპუტატ ბარაბაშის საქციელს: პარლამენტში კამათის დროს მეფის სახელი არ უნდა ეხსენებინაო. ბარაბაშის საქციელი კოშუტსაც არ მოსწონებია. კოშუტს უთქვამს: „მეფის სახელი კამათის დროს არავინ არ უნდა ახსენოს, და თუ უამისობა არ იქნება, მეტად ფრთხილად მაინც უნდა მოიხსენიოს. მეფესა და პარლამენტს შუა უსათუოდ კარგი, კეთილი განწყობილება უნდა არსებობდეს; უამისოდ წესიერი კონსტიტუციონალური ცხოვრება შეუძლებელია. დამოუკიდებლობის პარტიას რესპუბლიკის დაწესება არას დროს არ უთხოვნია და მეფის უფლების წინააღმდეგი არას დროს არა ყოფილა. ბარაბაშმა თავის საქციელისთვის თითონვე უნდა აგოს პასუხი".

◆ ჩეხმა რადიკალ-დეპუტატმა კლოფაჩმა ავსტრიის პარლამენტში გრძელი დაუყოვნებლივი წინადადება წარადგინა. კლოფაჩი თავის პარტიის სახელით თხოულობს: ჩეხიის ჯარში ბრძანება ჩეხურ ენაზე უნდა იძლეოდეს, ჩეხის ბაირაღი იხმარებოდესო და სხვ.

მაკედონია. გაზ. „პოლიტიკ"-ში დაწვრილებითაა აწერილი, თუ რა მხეცობა ჩაუდენია ოსმალეთის ჯარს კირკ-კილისსა და იმის ახლო-მახლო ადგილებში. ოსმალები მალო-ტირნოვოს დაეცნენ; მამაკაცები წინადვე გაქცეულიყვნენ ტირნოვოდან; ვინც კი დარჩენილიყო, ოსმალებმა მიჰყვეს ხელი და ყველანი დახოცეს. ყველაზე ძლიერ ალბანელი ჯარი და ბაშიბუზუკები მძვინვარებდნენ. ქალებსა, დედაკაცებსა და ბავშვებს საჯაროდ ისეთ დღეს აყენებდნენ, რომ ამის თვალით მნახველი ზოგიერთი გონებიდან შეიშალა. ოსმალელი სამოქალაქო და სამხედრო მოხელენი დინჯად უყურებდნენ ყველაფერს; ევროპაში ნამყოფი და განათლებული აფიცრებიც-კი ხმას არა სცემდნენ ჯარის-კაცებს. ბოლგარი დედაკაცი და ქალი ბევრნი დღესაც ოსმალების ხელში არიან, ზოგი მოტაცებული ქალი ისე დასტანჯეს, რომ გარდაიცვალა, ზოგმა თავი მოიკლა. მალო-ტირნოვოს, ენიჯესა და კირკ-კილისის ახლო 40 სოფელშიაც ასეთივე საზარელი ამბები მოხდა. ბევრის სოფლის ხალხი სულ ერთიანად დახოცეს და სახლები დასწვეს.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 21 სექტემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე, ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში **მოხდება საარქეოლოგო საზოგადოების კრება.** კრებამ უნდა მოისმინოს იმათი მოხსენებანი, ვინც ამ ზაფხულს საარქეოლოგო აზრით საზოგადოებამ ამიერ-კავკასიის სხვა-და სხვა ადგილას გაგზავნა.

◆ ერთი მოხელე კიდევ მოდის პეტერბურგიდან იმ ადგილების დასათვალიერებლად, სადაც **რუსების დასახლებას ჰფიქრობენ.** ეს მოხელე, სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტის განყოფილების უფროსი ბორიკოვი, უმთავრესად დაათვალიერებს დასასახლებელ ადგილებს ბაქოსა და განჯის გუბერნიებში. ამანვე უნდა გამოირკვიოს, შეიძლება თუ არა მუღანისა და მილის ველში რუსების დასახლება.

◆ ამ დღეებში რუსეთის სამუსიკო საზოგადოების ტფილისის განყოფილებამ განიხილა წესდება ტფილისში განზრახულ **ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა.** ეს წესდება გუბერნატორმა გადასცა სამუსიკო განყოფილებას თავის აზრის გამოსათქმელად. განყოფილებამ გუბერნატორს შეატყობინა, რომ მიზანი განზრახულ საზოგადოებისა ღირსია სრულის თანაგრძნობისა. ამასთან განყოფილება შენიშნავს, რომ აღნიშნულ საზოგადოების საგანი მოითხოვს სერიოზულს მუშაობას, ამიტომ, განყოფილების აზრით, წესდების მე-9 მუხლის თანახმად საოპერეტო წარმოდგენების გამართვა სრულიად არ შეესაბამება ხასიათსა და მიმართულებას განზრახულ ფილარმონიულ საზოგადოებისასა.

◆ 23 სექტემბრისათვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია პირველი სხდომა იმ კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს განსაკუთრებულ საბჭოს მიერ შემუშავებული მოხსენებანი **მეღვინე-მევენახეობის** გასაუმჯობესებელ საშუალებათა შესახებ.

◆ 1904 წლის იანვრიდან ნაძალადევში **რკინის გზის გამგეობა აარსებს** ერთ-კლასიან სასწავლებელს, სადაც მიიღებენ მხოლოდ რკინის გზის მოსამსახურეთა შვილებს.

◆ ტფილისის გუბერნიის **სახალხო სკოლების ინსპექტორი პერევოზნიკოვი** ერევნის გუბერნიაში გადაუყვანიათ.

◆ კავკასიის მთავარ-მართებელმა ნება დართო, **ყარსის მილიციას** ათის კაცით გაამრავლონ.

◆ **სიღნაღის თვით-მმართველობამ** შუამდგომლობა აღძრა ხაზინიდან 4000 მანეთის გადადების შესახებ. ამ ფულით უნდოდათ შუა ქალაქში ხევი გაემაგრებინათ. ფინანსთა სამინისტრომ არ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა.

◆ ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ შეატყობინა პოლიცმეისტერს, რომ 18 სექტემბრიდან ტფილისის პოლიციის მე-10 **ნაწილის ბოქაულად**, გრიქუროვის ნაცვლად, დაინიშნა ზედგინიძე.

◆ 28 სექტემბრისა და 5 ოქტომბრისათვის **დანიშნული არჩევნები** ტფილისის წყალთა მეორე ოლქის მოხელეთა. წყალთა გამგეობამ სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ აღნიშნულ არჩევნებისათვის დაუთმოს ქალაქის საბჭოს დარბაზი.

◆ **ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ 16 სექტემბერს სიღნაღში გაარჩია საქმე სიღნაღის მაზრის მცხოვრებ ირა-ჭაჯი-მამედ-ოღლისა, რომელსაც ყაჩაღობა და მორჯულ დუდკასის მოკვლა ჰბრალდებოდა. სასამართლომ მამედ-ოღლი გაამართლა.**

◆ **12 სექტემბერს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მოხდა საჯარო ვაჭრობა ბანკში დაგირავებულ ოთხ მამულისა. გაიყიდა ორი მამული და ორივე ბანკს დარჩა. გაყიდულ მამულებზე თავნი ვალი ირიცხებოდა 112,627 მან. 65 კაპ., დარჩენილი გარდასახადი 4230 მან. 76 კაპ., ხოლო საჯარო ვაჭრობის დროს გაიყიდა სულ 129,492 მ.ნ. 50 კაპ.**

◆ შუა ბაზარში, რუსის ქუჩაზე, ცხენის რკინის გზის მე-41 № ვაგონი დაეტაკა ტფილისის მოქალაქეს 43 წლის ალექსანდრე ოსიპოვს, რომელიც ქვეშ მოიტანა და ისე დააშავა, რომ ოსიპოვი იქვე გარდაიცვალა.

რუსეთის ქრონიკა

◆ რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ შვეიცარიის ქ. ციურიხში სამკურნალო ფაკულტეტის საბჭოს გადაუწყვეტია ზოგიერთი ზომები მიიღოს რუსის სტუდენტ ქალების წინააღმდეგ. პროფესსორები იმით იმართლებენ თავს, რომ ამ ბოლო დროს ერთობ გამრავლდა აქ რუს მოსწავლე ქალთა რიცხვიო. პროფესსორებს მიეცათ უფლება, ადგილების უქონლობის გამო, უპირატესობა ადგილობრივ მკვიდრთ მისცენ ხოლმე.

◆ სარატოვის სახალხო სკოლების დირექტორი გამგზავრებულა ბალაშევის მაზრაში, სადაც საერობო სასწავლებლების 25 მასწავლებელს ერთბაშად დაუნებებია თავი სამსახურისათვის.

ცნობიერება, ყველას ყურადღება თეატრზე იყო მიქცეული: იქ ეძებდნენ და ჰპოვებდნენ კიდეც იმას, რაც არ იყო სხვაგან,—თეატრი იყო ყველაზე უფრო ეროვნული და დამოუკიდებელი დაწესებულება...

ჩვენს ცხოვრებას არ შეეძლო თეატრის გარეშე განვითარება.

**

ჩვენი სეზონი „სამშობლო"-თი იწყება, ისტორიული პიესით, რომელსაც ნამდვილი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენის სცენისა და საზოგადოების ცხოვრებაში. „სამშობლო" საუკეთესო პიესაა ჩვენს რეპერტუარში და არა მარტო ისტორიულ პიესებს შორის. აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს პიესის გარეგნობას, მის გადმოკეთებულობას, ამა თუ იმ კერძო ნაკლულევანებას, თუ ღირსებას, გადმომკეთებლის ძლიერს ნიჭს თუ სისუტეს, აქ უმთავრესი—შინაარსია.

„სამშობლო" ნამდვილი სურათია ჩვენის წარსულისა: ჩვენის წინაპრების საზოგადოებრიობისა, თავ-განწირულებისა, თავისუფლების ძლიერის სიყვარულისა, მათის ხასიათის სიმტკიცისა და სიმაგრისა, ერთიანობისა. მხოლოდ ლეონიძისთანა ერის დამოუკიდებლობისათვის თავ-განწირულთ, ენერგიულ ადამიანებს შეეძლოთ საქართველოს დაცვა ურიცხვ მტრისაგან.

„სამშობლო" ჩვენი ნუგეშია, ჩვენი ტკივილის მალამო... იგი გადაგვიშლის წინ ჩვენს მრავალტანჯულს წარსულს, რომელიც იმდენად უფრო გვიყვარს, რამდენად უფრო მრავალტანჯულია. როდესაც ვხედავთ და ვისმენთ „სამშობლო"-ს, ჩვენ ვცხოვრობთ მისის შინაარსით, სულით და გულით ვეერთდებით პიესის გმირებს, გვიხარია თუ ცრემლები გვდის და ნაღველით გვევსება გული მათთან ერთად. ვის არ უნახავს ხალხის, მდაბიო ხალხის შეუკავებელი აღტაცება, ქართველები რომ გამარჯვებას იძახიან და მისი წუხილი ქართველების დამარცხების დროს, წუხილი, რომელიც ღრმად ინახება გულში და გულის ყოველდღიურ მდუმარე კვნესად გადაქცეულა!

ჟრუანტელი უვლის ადამიანს ტანში, როდესაც შეთქმულებს გაატარებენ დასაწვავად. თავგანწირულნი, ლოცვით და გალობით მიდიან წინ. უნებლიეთ პატივისცემა აღგვეძრება მათდამი. მხოლოდ აგეთმა თავდადებამ, ტანჯვა-დაწვამ შეგვინახეს ჩვენ სიცოცხლე, სიცოცხლე ინდივიდუალური, ფიზიკურიც კი! მოგვანიჭეს სულისთქმა, ცხოვრების სიტკბოება! ძნელია თავის დაჭერა, როდესაც ხიმშიაშვილი ფანჯრიდან გადავარდება: ძმებო, მე გასწავლით, როგორ უნდა სამშობლოსთვის სიკვდილიო!..

არავითარი ცრუ-პატრიოტული, ველური, შოვინისტური არ არის „სამშობლო"-ში. სამშობლო აოხრებულია და განადგურებული სპარსელებისაგან, შაჰ-აბაზმა გადასწვა ყველაფერი, ყველგან მოისპო სიცოცხლე, შეჰბორკა და მძიმე უღელი დაადგა ყველას, სარწმუნოება და ეკლესია წაბილწა, და ქართველები წინაღუდგენ მას თავისუფლების და სიცოცხლის მოსაპოვებლად. აქ არ არის არავითარი სიძულვილი სხვა ერისა და ტომისადმი, მხოლოდ წმიდა სურვილია საკუთარის არსებობის დაცვისა. სიმონ ლეონიძე გმირია, ჭეშმარიტი გმირი, გმირი სავსებით, რომელსაც პატივისცემით და სიყვარულით მოიხსენიებს ყველა დრო, ყველა ხალხი, ყველა თაობა! ასეთი გმირები ყველასთვის საჭირონი არიან!..

ჩვენ ვეძებდით „სამშობლო"-ს, გვწყუროდა მისი შინაარსი; გვინდოდა ჩვენის წარსულის ტკბილ მოგონებათა გაგონება და წაკითხვა მარტო კი არა, გვინდოდა პირდაპირ ნახვა ჩვენის წარსულის. გვინდოდა გვენახა წარსული ტანჯვა, ბრძოლა, სიმამაცე, თავგანწირულობა, გვინდოდა, გაგვეგონა ჩვენის გმირების ხმა, დავმტკბარიყავით მათის ძვირფასის სახელებით. დიდი ხნის იყო ეს სურვილი და როდესაც „სამშობლო" ვიხილეთ სცენაზე, ჩვენს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. წარსულის, ხშირად ტანჯულის, მწარის, მაგრამ მუდამ სიცოცხლით სავსე წარსულის პირდაპირ ნახვამ, პირდაპირ შეხებამ ერთიან შეაძრია ჩვენი არსება, მიყუჩებულ ცხოვრებას ხელი ჰკრა გამოსაფხიზლებლად, მკვდრებს, უიმედოებს, რომელთაც სიცოცხლე მოჰბეზრებოდათ, სიცოცხლის ხალისი აღუძრა. წარსულმა გაამხნევა, ღონე მისცა, სისხლი აუმოძრავა საზოგადოებას...

დრამა წარმოადგინეს პირველად ტფილისში 1882 წლის 20 იანვარს; წარმოდგენა განმეორებულ იქმნა ორის დღის შემდეგ, 22 იანვარს. აუწერელია ის შთაბეჭდილება, რომელიც იქონია დრამამ ქართველ საზოგადოებაზე. ამის მსგავსი არაფერი ენახა საზოგადოებას წინად. ყველანი ერთმა ძლიერმა გრძნობამ დაიმონა, ერთმა აზრმა გაიტაცა. წარმოდგენები ოვაციებად და ტრიუმფად გადაიქცა. ქუთაისში კიდევ უმეტესი ამბები მოხდა, იქ პირდაპირ ხელით ედავებოდნენ ერთმანეთს ბილეთებისათვის. წარმოდგენის დროს განსვენებული მამია გურიელი ისეთს ექსტაზში მოვიდა, რომ ძლივს შეაკავეს. რამდენიმე თვის განმავლობაში საზოგადოებაში სულ პიესაზე და მის შთაბეჭდილებაზე იყო ლაპარაკი. ამოძრავებული გრძნობანი დიდხანს არ დაწყნარებულა. მწერლობაც არ ჩამორჩენია საზოგადო აღტაცებას. დაუფასებელია დ. ერისთავის ღვაწლიო, ამბობდა „დროება".—„ხომ გინახავს, მკითხველო, სხვა და სხვა ფერი შუშხუნებით განათებული არა-მარე. ხომ გინახავს, როგორ ჰკარგავს ყოველი საგანი თავის განსაკუთრებულს ფერსა და იმის ფრად იმოსება რა ფერისაც თვითონ შუშხუნაა. შავი, ბნელი აღარსად რა მოსჩანს. ყოველს საგანს მხიარულება ედება, ყოველი სახე, რაც უნდა მოქმუხვნილი იყოს, ერთს წუთს მაინც გადიშლება, თითქო სიამოვნება და სიხარული დაეტყობა. ამ გვარი იყო „სამშობლოს" წარმოდგენა და იმის ზედ-მოქმედება მაყურებელზედ, იმ განსხვავებით, რომ ეს ზედ-მოქმედება არ იყო მარტო წუთიერი", ვკითხულობთ ჟურნალ „ივერია"-ში (1882 წ. № 1).—„რომელ ქართველ კაცსაც-კი მოეპოვება ცალ-თვალი მანეთი, ანუ ექვსი შაური კენტათა, სწერდა დემოკრატიული „იმედი" (1882, № 1), და არ წავა თეატრში „სამშობლოს" სანახავად, იმ ქართველ კაცზე შეიძლება ვსთქვა, რომ მას არ გამოუცდია ქვეყანაზე უდიდესი სიამოვნებაო". რასაკვირველია, ზოგიერთს ვაჟბატონებს არაფრად მოეწონათ ქართველების სიხარული და დაუყოვნებლივ აუწყეს ყველაფერი კატკოვის თავისებურის შეხედვით („მოსკოვ. ვედ. 1882 წ., № 44). „აქ ორი საღამო არჩვეულებრივი წარმოდგენა იყო „სამშობლოს" ქართულ ენაზე... აღირებული წარმოუდგენელი მოვლენაა ფრანგულ

◆ პეტერბურგის უმთავრეს სამხედრო შტაბის კასსა კინაღამ არ გაუქურდავთ. ღამე შეპარულან ვიღაც ბოროტ-განმზრახველები, რომელთათვის დროზე მიუსწრიათ და დაუჭერიათ. ქურდებს დამოკიდებულება ჰქონიათ სამხედრო შტაბის ერთ დათხოვნილ მწერალთან, რომელმაც ასწავლა იმათ, როგორ უნდა მოეწყოთ ქურდობა.

პრესსა

„გრაჟდანინ"-ის რედაქტორი თ-დი მეშჩერსკი ამ ჟამად პარიზში იმყოფება, იკვლევს ფრანგთა ცხოვრებას და შემდეგს სამწუხარო ფიქრებს უზიარებს თავის მკითხველებს.

საფრანგეთ-რუსეთის კავშირი ამ ბოლო დროს დაჭრილ და ფრთა-ჩამოგდებულ ფრინველსა ჰგავს. არ გაივლის დიდი ხანი და ეს კავშირი ჩაილურის წყალს დალევს."

ამ კავშირის დასუსტება-მოდუნებას ერთობ ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ საფრანგეთმა ბევრი განათლებული ინტელიგენტი რუსი მიიზიდა, რომელნიც ავრცელებენ საფრანგეთში სხვადასხვა ნაირ ცნობებს რუსეთის შესახებ, ყველაზე უფრო საფრანგეთის ჟურნალისტებზე აქვთ გავლენა და მათი საშუალებით საფრანგეთის ხალხზედაც მოქმედებენ. პარიზის მოწინავე საზოგადოება, რასაკვირველია, ულტრალიბერალურია და თანაუგრძნობს ჩვენ ინტელიგენციას, რომელიც ავრცელებს საფრანგეთში ხმებს რუსეთში მომხდარ არეულობათა შესახებ, აზვიადებს ამ არეულობათა მნიშვნელობას და საქმის კაცთ, პრაქტიკულ მოღვაწეთ სურვილს უკლავს რუსეთთან რაიმე პრაქტიკული კავშირი იქონიონ, რადგან რუსეთის წეს-წყობილება არ არის მკვიდრ ნიადაგზე დამყარებულიო.

* *

დვინსკის მეურნეთა კრებაზე კეთილშობილთ აღუძრავთ საკითხი იმის შესახებ, რომ ტყეში ხის მოჭრა და გატანა ქურდობად იქმნას აღიარებული და აეკრძალოთ გლეხებს გზებს გარეშე ტყეში სიარული. დამნაშავენი პასუხის გებაში უნდა იქმნან მიცემულნიო. ამასთანავე წინააღმდეგნი იყვნენ იმისა, რომ ტყეში გაჩენილ ცეცხლის ქრობისათვის გლეხებს რაიმე ჯილდო აძლიონ. ჰგავს, დღევანდელ დვინსკის კეთილშობილთ ძველი ფეოდალური სადღეგრძელო აშლიათ. გაჭირვებაში ვალდებული ხართ დამეხმაროთ, მშვიდობიანობაში კი არ გაბედოთ ჩვენ სამკვიდროში ფეხის შემოდგმაო.

კარგია, რომ დვინსკის კეთილშობილნი პაწია სულდგმულნი არიან, თორემ მთელ დედამიწას მხოლოდ თავის ხელთ საგოგმანებელ ბურთად გახდიდნენ და მთელ კაცობრიობას აღგვიდნენ პირისაგან ქვეყანისა.

თეატრი

დღეს, 21 სექტემბერს, სეზონი იწყება ქართულ თეატრში. როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ამ დღისთვის „სამშობლოა" დანიშნული. ამ პირველ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ თითქმის ყველა თვალსაჩინო არტისტები. მთავარ როლებს შეასრულებენ ქ-ნი ჩხეიძე, ბ-ნნი კ. ყიფიანი, კ. მესხი და გუნია. დამზადებულია ახალი ტანისამოსი. საზოგადოდ, როგორც ახალ რეჟისორს, ისე არტისტებს შრომა არ დაუკლიათ, რომ ამ პირველმა წარმოდგენამ კარგად ჩაიაროს. ვუსურვებთ ჩვენ თეატრს, რომ წლევანდელი სეზონი ნაყოფიერი ყოფილიყოს.

—

პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის არტისტმა ქალმა სავინამ ამ თეატრს თავი გაანება. ამ ამბავმა საშინლად აალაპარაკა პეტერბურგის გაზეთები. სწუხან, რომ ნიჭიერი ქალი სახელმწიფო თეატრიდან წავიდა. ზოგიერთი დირექციასა სდებს ბრალს. მიზეზად აი რას ასახელებენ. ამას წინად ერთ გაზეთში წერილი იყო დაბეჭდილი სახელმწიფო თეატრის შესახებ. სხვათა შორის, სავინაზე, თუმცა გვარს არ ასახელებდნენ, სწერდნენ, რომ თეატრი იმის ხელში იმყოფება, რასაც ის მოისურვებს, იმასა სდგამენო. სავინამ სთხოვა დირექციას, გაზეთისავე საშუალებით უარ-ეყო ეს წერილი. დირექციამ არ შეიწყნარა თხოვნა და სავინამაც სახელმწიფო თეატრს თავი მიანება.

წერილი ოზურგეთიდან

მდინარის გადმორება.—მოუსავლობა.

არა ერთხელ ყოფილა გაზეთებში აღნიშნული, რომ ნიაღვარების დროს ადიდებული მდინარე ბჟუჟა იტაცებს ხიდებსაო. ამ დღეებში 30 წლის კაცი გ. გორდელაძე დაიხრჩო, რომელმაც უხიდობის გამო ფეხით მოინდომა გაღმა გასვლა. მდინარე აფუჭებს გზებს, იტაცებს წისქვილებს, მიაქვს ყანები და ოზურგეთის ერთი ნაწილიც ლამის შიგ ზღვაში ჩაიტანოს. საჭიროა მხოლოდ ერთი-ერთი კედლის გაყვანა 60 საჟ. სიგძისა და სიმაღლით 1½ არშინისა, რაიც 500—600 მან. ცემენტს თხოულობს. ქვა იქავე და მუშაც დიდი საძნელო არ იქნება. მაგრამ თანხმობა არ არის. ქალაქი სოფელს უყურებს და სოფელი—ქალაქს. ეს კედელი რომ გაკეთდეს, წყალი ძველ კალაპოტში ჩადგება და მაშინ ვეღარც იმძლავრებს.

ამ ხანად აზ. გ. ნაკაიძემ, სკამკოჩაიშვილმა და ორმა იმათმა მეზობლებმა გადაავლეს თავიანთ ხარჯით მთელი ბჟუჟა ძველ-კალაპოტში და ამით იხსნეს თავიანთი ნახევრად წაღებული ადგილები სამუდამო დაღუპვისაგან. მაგრამ მაგარი ის არის, რომ ის კედელი რიყის ქვისაა და მკვიდრი არ იქნება. კარგი იქნება ქალაქმა 500—600 მან. გამოიღოს ცემენტისთვის, სოფლის ხალხიც მუშაობით დაეხმარება და საქმე გაკეთდება.

წრეულს აქეთ ხშირმა წვიმებმა წაახდინა სიმინდი და ღომი. ხალხს ისეთივე გაჭირვება დაადგება, როგორც ამ ორი-სამი წლის განმავლობაში დაადგა. ვაშლი, ყურძენი, ნიგოზი კარგია, ხოლო თხილი სრულიად არ მოსულა. ღორის ჭირმა დიდი ზარალი მოიტანა. გასწყვიტა ღორი, ისე რომ წრეულს კალანდას ბევრს არც ექნება ღორის ხორცი საჭმელად. მოხუცები ამბობენ, ღორის ჭირი ჟამის წინამორბედიაო, რადგან ძველად ჟამი რო გაჩნდა, ღორის ჭირს მოჰყვაო.

მესხი გ. გვარამაძე

წერილი ერწოდან

მოუსავლობა და გაჭირვება.—საქონლის ჭირი.—ახალი ხარჯი.—უსკოლობა.

ერწოში (თიანეთის მაზრა) თიბა-მკა გაათავეს და ჭირნახული კალოებში მოზიდეს, მაგრამ დღეწევა-კი ჯერ, დიდ წვიმების გამო, არ გაუთავებიათ. წელს აქ დიდი მოუსავლობაა. ზოგს ერთი თვის სარჩოც არ მოუვიდა; რაც მოუვიდათ, ისიც სულ ბალახის თესლი და ნაგავია. ბევრი ახლავე ყიდულობს პურს, რადგან თვითონ არა აქვს. დანარჩენებსაც ორი-სამი თვის შემდეგ შემოაკლდებათ. საქონლის საჭმელიც აქ ნაკლებად მოვიდა. საქონელს შვიდი-რვა თვე ჭმევა უნდა, რადგან დიდი ზამთარი იცის, და თუ ბზე არ არის, სხვა საჭმელი ვერას გახდება. ბზე კი მეტის მოუსავლობის გამო ნაკლებად არის.

ვხედავთ რა ყოველივე ამას, ეხლავ თადარიგს უდგებიან: ზოგნი საქონელს ჰყიდიან, რომ ადვილად ფულით თავისი სავსები იყიდონ და საქონელიც ჭირად არ გაუხდეთ და ზოგნიც კახეთში მიდიან ცოლ-შვილით და საქონლით, რომ იქ თავი გადაარჩინონ შიმშილს. საქონლის ჭირიც ეხლა მოევლინა აქაურობას. საქონლის ჭირი ს. დუდელებში გაჩნდა. ექიმი ხედავს საქონელს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჭირი ვერ მოუსპია. ჭირი მეორე სოფელშიაც გადავიდა. საქონელი რომ შეცოტდება, საჭმელი გაიაფდებაო, ამბობენ გლეხები, და დახოცილი საქონლის ფულად გვეზღვებაო. მისვლა-მოსვლა სოფლებში საქონლით შეჩერებულია, რაც დიდ გაჭირვებაში აგდებს ხალხს. ერწოში ამ დღეებში ადგილობრივი ბოქაული მოვიდა და გამოუცხადა ხალხს მაზრის უფროსის განკარგულება, სასოფლო კანცელარიებისთვის შენობების გაკეთების, მამასახლისების, მწერლების, გზირების ჯამაგირების დანიშვნისა და კანცელარიისათვის საჭირო ნივთების შეძენის შესახებ. ხალხმა ბოქაულის თანდასწრებით დაადგინა განაჩენი ზემო აღნიშნულ საგნების შესახებ: კანცელარიების ასაშენებლად უნდა ისესხოს ხაზინიდან მაღაზიის ფული და შეიტანოს ეს ფული სამი წლის განმავლობაში. მოხელეებსაც უნდა დაუნიშნოს ჯამაგირი (ჯამაგირის დანიშვნა მაზრის უფროსის ნებაყოფლობით მოხდება: ვისაც უნდა დაუნიშნავს).

სწავლა-განათლების მხრივ არა მგონია ისეთი ჩამორჩენილი მხარე იყოს სადმე, როგორიც ერწოა. აქ ათას კომლზე მეტი მცხოვრებია და ერთის სამრევლო სკოლის მეტი არა არის-რა.

წარსულ შემოდგომაზე დამიტრიევმა უთხრა ხალხს, თუ სამინისტრო სკოლას გაგიხსნით სვიმონიანთ ხევსა და სადრიანში, თუ ზოგიერთ ხარჯს თქვენ იკისრებთო, მაგრამ ხალხმა უარი განაცხადა. სოფელ სვიმონიანთ ხევში იყო სკოლა წერა-კითხვისა, ორი წელიწადი იცოცხლა და ახლა იმასაც სული განუტევა. როგორც ვხედავთ, მომატების მაგიერ სკოლებს აკლდება. ამ ერთ სკოლასაც მცხოვრებნი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. ბავშვებიც არ მიჰყავთ. ყველა ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, სიღარიბე და გაჭირვებაა.

ხევსური გოდიკა.

სასამართლო

სისხლის აღება

სვანეთში სოფელ ლატალს 1873 წელს ამ სოფლის მცხოვრებს ბეგმურზა გვირგვილიანს მოუკლავს მეზობელი შავლახ ფარჯიანი. ამ დროს შავლახის ცოლი მძიმედ ყოფილა ნესტორ ფარჯიანზე. გავიდა ამ მკვლელობის შემდეგ ათიოდე წელიწადი და შავლახის შვილი ნესტორ ფარჯიანიც დავაჟკაცდა. პატარაობიდანვე ფარჯიანს მახლობლებთა და გარეშეთაგან ის ესმოდა, რომ მამა გვირგვილიანმა მოუკლა, რომ საჭირო სისხლის აღებაო. 1900 წელს, გაზაფხულზე ნესტორი ბიძასთან ყოფილა, სადაც გარდაცვალებულის სულის მოსახსენებელი ადათი გაუმართავთ. ნესტორის შინაურებსა და ძმებს ამ ადათის დროს მოუგონებიათ, რომ ოცდა შვიდის წლის წინად მამა ნესტორისა მოჰკლა ბეგმურზა გვირგვილიანმა და დღემდე შავლახის სისხლი არავის აუღია, ამიტომ ფარჯიანების მამაკაცები კაცებად არ უნდა იწოდებოდნენ და ქუდის მაგივრად მანდილი უნდა ეხურათ. ამ სიტყვებს ნესტორი ღრმად ჩაუფიქრებია და მამის სისხლის აღება გადაუწყვეტია. 1900 წელს, 19 მაისს ბეგმურზა გვირგვილიანი რადგაც საქმისთვის სოფელ ბეჩოში ბოქაულს დაუბარებია. საქმის გათავების შემდეგ ბეგმურზა გვირგვილიანი, იმისი ძმის-წული და ერთი მეზობელი ვიწრო ბილიკით დაბრუნებულან ლატალში. როცა კარგა მანძილი გაუვლიათ, უეცრად ხშირ ბუჩქებიდან ვიღაცას უსროლია თოფი და გვირგვილიანი იქვე მოუკლავს. როცა პოლიცი-

---

პატრიოტულის დრამის გადაკეთება ქართულ ხასიათზე. მაგრამ აქაურ ახალგაზდა პატრიოტებზე, რომელთაც სურთ ყველაფერი თავისი მშობლიური მკვდარი განაახლონ, დიდი და აღტაცებითი შთაბეჭდილება მოახდინა: ავტორი ხელით აყვანილი გამოიყვანეს თეატრიდან, უანგარიშო ხალხმა მიაცილა შინამდის ამ ტალახსა და თოვლში ბენგალის ცეცხლით და აღტაცებულის ყვირილით. ბევრს საღამოს გაგრძელდებოდა ეს ნეტარება კიდევ, თუ რომ ბოლოს ადგილობრივ ცენზურის კომიტეტს არ შეშინებოდა ახალის მთავარ-მართებლის მოსვლით და არ აეკრძალა პიესა... კარგი იქნება ქართველებმა თავიანთი დროშები მეცირკეს მიჰყიდონ კლოუნებისათვისო". კატკოვის გაზეთი სომხებსაც არ ივიწყებს: სომხებიც არ ჩამორჩნენ ქართველებს, დაიარსეს ნაციონალური თეატრი და დიდს პატივს სცემენ თავის აქტიორებსაო. ამას წინად აქტრისა გრაჩიას ბენეფისი იყო და სომხის საზოგადოებამ დაუფასებელი საჩუქრები მიართვაო... ქართველები და სომხები მოღალატენი არიან, გამცემნი! დრო არის ყურადღება მივაქციოთ ამასო და სხ.

მოსკოვის გაზეთის წერილმა ძლიერ გააფიცხა ქართველი საზოგადოება და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რამდენიმე წერილი დაიბეჭდა კატკოვის წინააღმდეგ. მათ შორის ყველაზე საყურადღებო იყო თ. ილია ჭავჭავაძის „კატკოვის პასუხად" (დროება, № 40). „სასაცილოა, საზიზღარი რომ არ იყოს, სწერს ავტორი: ამისთანა ბეზღი, ამისთანა საბუთებზე აშენებული! ქართველებს თუ სომხებს რომ სციოდეთ და თეატრი გაითბონ, აქ გადადგომა და ორგულობა რა შუაშია? ქართველმა რომ მოწონებულის თხზულების ავტორს პატივი სცეს და სომეხმა კიდევ თავის აქტრისას საჩუქარი მიართვას, აქ სეპარატობა რა მოსაყვანია?.. რათა შურს ბ. კორესპონდენტს, რომ ქართველები თუ სომხები თავიანთ თეატრში დაიარებიან! რა საკვირველია, რომ მე ჩემი უფრო მიყვარდეს, ჩემსას უფრო შევხაროდე, ჩემი უფრო მეამებოდეს და ჩემსას უფრო ხელს უწყობდე!.." დასასრულ ავტორი ამბობს: „თვით ბარბაროსიც არ იკადრებდა ეგრე გაუპატიურებას მთელის ერისასო!"

ბ. ილიას ვრცელი წერილი გადმოთარგმნა და გადაბეჭდა რუსულმა „გოლოსმა" და თავის მხრითაც დიდი საყვედური გამოაცხადა კატკოვის წინააღმდეგ. „გოლოს"-შივე დაიბეჭდა მალე ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა მარშლის თ. მაღალაშვილის წერილი, სადაც სამართლიანად და მხურვალედ იცავდა საქართველოს წმინდა დროშებს (გადმოთარგმნილია „დროებაში", № 61).

„გოლოს"-ის ხმას შეუერთდნენ „მოსკოვის ტელეგრაფი", „ოტეჩ. ზაპ."-ები (ნ. მიხაილოვსკი) და სხვები და სწერდნენ, რომ კატკოვის მსგავსის წერილების შემდეგ, რა უფლება გვაქვს, მოვთხოვოთ სიყვარული ჩვენს ქვეშევრდომ ერებსო...

კატკოვის გაზეთის სიტყვებმა მაინც გაჭრა და ათის წლის განმავლობაში 1892 წლამდის „სამშობლო" აკრძალული შეიქნა...

* *

რითი აიხსნება ასეთი გამარჯვება დ. ერისთავის დრამისა? რითი დაიმსახურა ასეთი ყურადღება და პატივისცემა ჩვენის საზოგადოებისა, იქონია ასეთი ძლიერი გავლენა?

იმით, რომ „სამშობლო" არამც თუ ისტორიული, კიდევ მეტად თანამედროვე პიესაა. იგი მოხვდა გულში დღევანდელს ქართველს, პასუხი გასცა მის იდუმალს, მაგრამ ღრმა, ფიქრებს და გრძნობებს. „სამშობლომ" ჩააწვეთა მაყურებლის გულის სიღრმეში და აამოძრავა მისი არსებობის დედა-ძარღვი. არის აზრები, ამბობს ტენი, რომელნიც რაც უნდა ხმა მაღლა ვიყვიროთ, ვერავის ყურადღებას ვერ მიიქცევენ, მაგრამ არის აზრები, იდეები, რომელნიც ჩუმადაც წარმოთქმულნი დაუყონებლივ მოედებიან მთელს ქვეყანას, ყველას იმონებენ; მათით არის გამსჭვალული ყველას გრძნობანი, ყველა მათ შესახებ ლაპარაკობს, ყველას ისინი აინტერესებს, სხვა არაფერი.

ეს კანონია ყოველის ლიტერატურის ნაწარმოებისთვისაც. ყოველმა მწერალმა უნდა შეუფეროს თავისი თხზულება თანამედროვე ფიქრებს და გრძნობებს. ამით აიხსნება „სამშობლოს" ზედ მოქმედება. შეიძლება დ. ერისთავის დრამას *) ბევრი რამ კერძო ნაკლულევანება ჰქონდეს, შეიძლება, ესა თუ ის მომენტი შიგ შეუსაბამო და არა-ბუნებრივი იყოს, მაგრამ აქ საქმე პიესის საერთო შინაარსია, მისი დედა-აზრი, გრძნობები, რომლებითაც გამსჭვალულია იგი, ის იდეა, რომელიც შეჰქმნის გმირებად სიმონ ლეონიძეს, ლევან ხიმშიაშვილს და სხვებს. ყველაფერი ეს ხვდება მაყურებელს გულში, აძლევს, რაც დღეს მისთვის აუცილებლივ საჭიროა, რაც სწყურია. გავა დრო, და „სამშობლოს" დაეკარგება დღევანდელი ფასი ჩვენთვის, როდესაც უკეთეს პირობებში ვიქნებით; „სამშობლო" დროებითი, წარმავალის მნიშვნელობის ნაწარმოებია, მაგრამ ეს არ ამცირებს მის ფასს,—ხშირად დროებით საგანს უფრო მეტი გავლენა და მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სამუდამოს, საუკუნოს.

„სამშობლოს" ზედ მოქმედების ისტორიამ უნდა ასწავლოს ჩვენის თეატრის გამგეებს და აქტიორებს, თუ რას უნდა მიაქციონ ყურადღება, რას მოითხოვს მათგან დღევანდელი საზოგადოება. აქ იმას არ ვამბობ, რომ გარდა მარტო ეროვნულ-პატრიოტულისა არაფერი გვინდოდეს. არა, მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ იმ პიესას ექნება ჩვენში მოწონება, რომელიც ჩვენს დღევანდელს წუხილებს, დარდებსა და ფიქრებს რასმე ეტყვის! მხოლოდ იმ აქტიორის თამაშს დაუკრავენ ტაშს მაყურებლები, რომელიც თავის სახით, ტანჯულის თუ მხიარულის სახის გამომეტყველებით ცრემლებს დაადვრევინებს მათ გათახსირების სურათის წინ, შეუკავებელს ზიზღს და სიძულვილს აღუძრავს გარყვნილ და გახრწნილ ცხოვრებისადმი, გაამხნევებს და ძალას მისცემს მომავლისათვის.

ვის არ უნახავს ხალხის გრძნობანი „სამშობლოს" წარმოდგენის დროს ან „ურიელ აკოსტას" დროს, როდესაც ხალხი ურიელ აკოსტასთან ერთად გაიძახის: „ქვეყანა მაინც ბრუნავს! გზა მიეცით თავისუფალ აზრსაო"..

აი, სად არის კითხვის პასუხი!

გვახსოვდეს ეს და მხნედ შევუდგეთ მომავალს მძიმე, მაგრამ მეტად ნაყოფიერს, შრომას!

სიტყვა.

---

*) არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ დ. ერისთავის დრამა გადმოთარგმნილ-გადმოკეთებული პიესაა და გადმომკეთებლის შემოქმედებითი ნიჭი შიგ არაფრად სჩანს. ამის მნიშვნელობა არა აქვს ჩვენის მიზნისათვის, პიესა სრულიად შეეფერება ჩვენს წარსულს.

დი ფარუყიანის სახლში მისულა, იქ უთქვამთ, რომ ნესტორ ბიძასთან ერთად სჯიდის შენობისათვის ტყის მასალის მოსატანად წასულაო. ორი-სამი დღის შემდეგ ნესტორ ფარუყიანი თვით მისულა ბოქაულთან და განუცხადებია, იმ დროს, როცა მკვლელობა მოხდა, მე შუქდუასთან ვიყავ 15 მანეთის სასესხებლადაო. გამოირკვეულა, რომ თუმცა ფარუყიანს ფული ესესხნა შუქდუასაგან, მაგრამ გექსილის მისაცემად სხვა კაცი მიუგზავნია. რადგან საქმით გამოირკვეულა ნესტორის დანაშაულობა, იგი მაზრის ციხეში მოუცავთ. ქუთაისის ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ფარუყიანი და გადაუწყვეტია ყოვლისავე უფლების ჩამორთმევა და კატორღაში 10 წლით გაგზავნა. სასამართლოს სასჯელის გადაწყვეტის დროს სახეში მიუღია ის გარემოება, რომ სისხლის აღებას სვანებს ჩვეულებად აქვთ გადაქცეული, რომ ფარუყიანს პატარაობითვე ესმოდა, რომ სისხლის აღებაა საჭირო და ამიტომ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას, რომ ფარუყიანს 10 წლის კატორღა შეეცვალოს ზოგიერთ უფლების ჩამორთმევით და 5 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით.

ფარუყიანმა საქმე გადმოიტანა სამოსამართლო პალატაში. გუშინ, 20 სექტემბერს, პალატამ დამნაშავედ იცნო ფარუყიანი და დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი. ამასთანავე პალატამ პატივსადებად მიიღო ზემოდ მოყვანილი მოსაზრებანი სასამართლოსი და დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ფარუყიანს სასჯელი შეეცვალოს ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევით და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 3 წლით გაგზავნით.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 სექტემბერი

კავკასი. ღამით, ბესლანს ახლო, მთიულები ოსეთის დივიზიონის ჯოგს დაეცნენ, 120 ცხენი მოიტაცეს და ექვსი ჯარის-კაცი მოჰკლეს. მდევარი გამოუდგნენ.

სოფია. შუაგულ მაკედონიაში და კრატოვს ახლო აჯანყებულთ ახალი ძალა მოემატათ. პირინის მთის ახლო, სადაც იანკოვის და ლევტეროვის შეერთებულმა რაზმებმა ოსმალები დაამარცხეს, დღესაც ბრძოლაა. ცონჩევი ახალ რაზმს წინამძღოლობს პირინის მთის ხეობაში.

ვენა. გაზეთები ორსავ იმპერატორის სადღეგრძელოებს არჩევენ და აღნიშნავენ, რომ ამ სადღეგრძელოებში რუსეთისა და ავსტრიის პოლიტიკის პროგრამაა გამოთქმული. მკვიდრად შეერთებული დანარჩენი სახელმწიფოებიც მხარს აძლევენ ამ პროგრამასაო.

მარშანსკი. პეტერბურგში მიმავალმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გაიარა.

ბროძნი. ადგილობრივი მცხოვრებლები ხაზინის დარაჯებს დაეცნენ. ერთი ჯარის-კაცი მოჰკლეს, ერთი დასჭრეს; სამი თოფი მოიტაცეს.

ოლონეცი. საერობო კრებამ გადასწყვიტა პენსიის კასის წევრად საერობო მასწავლებლებიც მიიღოს, თუ მასწავლებელთა უმეტესობა მოინდომებს.

ჰააგა. ვენეცუელის საქმის გადასაწყვეტად სამედიატორო სასამართლოს სხდომა მოხდა. თავმჯდომარემ სტატს-სეკრეტარმა მურავიოვმა სამედიატორო სასამართლოს მნიშვნელობა აღნიშნა. ეხლა ევროპის ერთა უმეტესობა სამედიატორო სასამართლოს შემწეობით სწყვეტს სადაო საქმეებსაო; ამის წყალობით საერთაშორისო უფლებამ ომის საზარელი ამბები შეამცირა, რადგან ეს უფლება მგრგვინავ ზარბაზნებზე ძლიერიაო.

მიუნხენი. მთავრობა დასთანხმდა, რომ ბავარიის უნივერსიტეტებში სტუდენტებად გერმანიის გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში კურს-დასრულებული ქალებიც მიიღებოდნენ.

სტამბოლი. სხვა-და-სხვა ეროვნების წარმომადგენელთ, რომელნიც უმთავრეს ინსპექტორის საბჭოს წევრებად დაინიშნენ, მოწერილობა მოუვიდათ, მონასტირში წადითო. საბჭოს წევრთ თვეში 30 ლირა დაენიშნათ ჯამაგირად.—ხონთქარმა ბძანება გამოსცა, რომ ახალ სესხის ავანსი მილიონი ლირა, განსაკუთრებით სამხედრო საჭიროებას უნდა მოხმარდესო.

20 სექტემბერი.

სტამბოლი. ხელმწიფე-იმპერატორის და იმპერატორ ფრანც-იოსების „ტოსტებმა" დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს იილდიზ-კიოსკსა და პორტას მახლობელ წრეებზე. მშვიდობიანობის დაცვის დაპირებამ კმაყოფილება აღუძრა ყველას.

ბოლგარიიდან გადმოსული ბოლგარელთა რაზმები შეესივნენ ნევროკოპს, რაზლოგს, ჯუმაიასა და ბანსკოს; რამდენსამე ადგილას გააფუჭეს ტელეგრაფის მავთული. ბოლოს ჯარებმა განფანტეს ბოლგარელები. ერთს რაზმს ბოლგარელი ოფიცერი წინამძღვრობდა.—რამდენად ამხედრებულია ოსმალეთი შემდეგიდან სჩანს: პირველის კლასის სათადარიგო 362 ბატალიონიდან უკვე საომარ ფეხზეა დამდგარი 186; მეორე კლასის 666 ბატალიონიდან—129.

შეფილდი. ბალფურმა განაცხადა, რომ მილნერმა უარი სთქვა საკოლონიო საქმეების სტატს-სეკრეტრის თანამდებობაზე.

რისტოვაცი. ოსმალები ემუქრებიან გადასახლებას პოლიციის უფროსს, რომელმაც დააბეზღა კაიმაკამი კუმანოვა; ეს უკანასკნელი 18 სექტემბერს სასამართლომ გაამართლა, თუმცა დამტკიცდა, რომ მის მიერ გაგზავნილმა ბაშიბუზუკებმა სერბები დახოცეს.—სტამბოლიდან ბრძანება მოვიდა, გააუქმონ სასამართლოს დადგენილებანი, რომლებით გამართლებულ იქმნენ მოხელენი; ამათ დასჯას რუსეთის ნოტა მოითხოვდა.

სალონიკი. რკინის გზით მიმოსვლა ნიშსა, ბელგრადსა და სალონიკს შუა წესიერად სწარმოებს; შეაჩერეს იმ ბრძანების აღსრულება, რომლის ძალითაც მონასტირის ვილაეტიდან დემირხისარში უნდა გადაეყვანათ ჯარი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

სამოსადეგო ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 16 სექტემბერი

გექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,45
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე, ჩეკები	94,40
ბერლინისაზე "	46,30
პარიზისაზე "	37,47½
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99 "
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	95⅛ მყიდ.
5% 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	442 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335½ "
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	285¼ "
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	190 "

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათით, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ.). 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ. 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპანისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.

განცხადებანი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის 20 ივლისს **სადგურ ბაკურიანში** გახსნილი სარკინისგზო სასტუმრო 20 ამა სექტემბერს დაიხურა. (3—6—3)

თვეში 2 მანეთად

ახლად გაღებულს სკოლაში ვასწავლი ჭრა-კერვას და ყოველნაირ მშვენიერ ხელსაქმესა. ვიყვანთ პანსიონერკებს. მეცხრე ნაწილი, ავჭალის ქუჩიდან, ანტონოვის ქუჩა **№ 3.** (3—156—1)

გაიმართა

ქალთა სამკერვალო

მაჩაბლისა და პოლუმორდვინოვისა. სუფთად და ღრიაზედ ამზადებს დაკვეთილ ტანისამოსს და ყოველ გვარ ქალთა სამკაულს. აქვეა კერვისა და ჭრის გაკვეთილები.

შუა ბაზარში, ადელხანოვის მაღაზიის პირდაპირ მიმავალ შესახვევში, **№ 11.** (4—153—3)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში. (10—6)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი.	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად.	—	80
სოფლის კუნწული—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პრაქტ. გ. პეტრიაშვილისა.	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეს წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის პირში.

ფინანსთა სამინისტროს მიერ ნება დართული

საბუღალტრო კურსები

ნ. ვ. აბრამიანისა

ტფილისში

აბრამიანი ავტორია „სავაჭრო, საფაბრიკო და სანავოს მრეწველობის ბუღალტერიის სახელმძღვანელოსი". სახელმძღვანელო მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო ნაწილის მიერ.

კურსებზე ასწავლიან და ამზადებენ პრაქტიკით ორსავე სქესის მსურველთ 4½ თვეში.

სასწავლო საგნები:

1. ბუღალტერია ორმაგი, იტალიანურ სისტემისა, მრეწველობის ყველა დარგისთვის გამოსაყენებელი, საბანკო, სავაჭრო, საკომისიო, საქარხნო და სხვა. 2. საკომერციო არითმეტიკა. 3. საკომერციო კორესპონდენცია. 4. სავექსილო წესდება და სავაჭრო უფლება. 5. კალლიგრაფია და ცუდის ხელის გასწორება. 6 არითმეტიკა საანგარიშებლებზე. 7. „რემინგტონის" საწერ მანქანაზე მუშაობა (სურვილისამებრ).

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებულნი და აქმის სპეციალურად მცოდნენი, რომელთაც ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო ნაწილი მტკიცებს. კალიგრაფიის მასწავლებლად მოწვეულია კალიგრაფ მხატვარი.

მიღება ყოველ დღე 5-დან 7 საათამდე. მეცადინეობა დაიწყება 1903 წლ. 15 სექტემბერს, პერიოდულად ყოველ 4½ თვის შემდეგ, ყოველ დღე სადილთ უკან. ფასი 60 მანეთი მთელის კურსისა. გათავების შემდეგ ეძლევა ატესტატი, ნება დართული ბ-ნ ფინანსთა მინისტრის მიერ. მსურველმა უნდა მიჰმართოს წერილით ან პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში. ნიკოლოზის ქუჩა, 46, ტელეფონი 744. წესები და პროგრამა მსურველს უფასოდ ეგზავნება. ზემოხსენებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან გამოიწერს, ფასდადებულს არ იხდის. ცალი წიგნი ღირს 3 მან. 50 კაპ. (10—10)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნიე ნომრების" ქვეშ).

ტელეფონი № 741

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, ზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქისა და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацетовъ. 100—61)

Дозв. ценз. Тифлисъ 20 Сентября, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз Издат. Т—ва)